

ქ. თბილისის მერია



კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შედგენის მომსახურების შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო პირობები შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2013 წელი

საკონკურსო განცხადება

1. ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შედგენის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. შესყიდვის ობიექტი:

ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

3. კონკურსის მიზანია – ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა.

4. საკონკურსო პრემიის (ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და საავტორო უფლებების გადაცემის) ოდენობა შეადგენს 65300 ლარს. *(კონკურსში ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია, მითითებული თანხის ფარგლებში).*

5. დაფინანსება განხორციელდება 2014 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (მხოლოდ შესყიდვის ობიექტების დიზაინის პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში და რეკვიზიტები დანართი #1-ის მიხედვით) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 28 ნოემბრის 17:00 საათიდან 2013 წლის 09 დეკემბრის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

7. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 09 დეკემბერს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მერია, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართულზე, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

8. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს დიზაინის ერთი ან რამდენიმე ვარიანტი.

საკონკურსო პირობები

1. ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შედგენის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. კონკურსის მიზანია – ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა.

3. შესყიდვის ობიექტი

ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

4. საკონკურსო პრემიის (ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და საავტორო უფლებების გადაცემის) ოდენობა შეადგენს 65300 ლარს. *(კონკურსში ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია, მითითებული თანხების ფარგლებში).*

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

5.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

5.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

7. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

10. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

11. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

12. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 09 დეკემბერს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მერია, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

13. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (მხოლოდ შესყიდვის ობიექტების დიზაინის პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 28 ნოემბრის 17:00 საათიდან 2013 წლის 09 დეკემბრის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

14. საკონკურსო პრემია გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ხელშეკრულების გაფორმების (დიზაინის, პროექტის და შესაბამისი ყველა საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემის) შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

15. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:

ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილ დიზაინს (ხიდის ვიზუალური იერსახე რენდერების სახით), ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა 40 დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ხიდის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის დოკუმენტაციის წარმოდგენა (სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით).

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობის და სამუშაოთა მოცულობების აღწერას და მშენებლობის ორგანიზაციის პრინციპულ სქემას;
- მუშა ნახაზების (მ.შ. გეგმები, პროფილები, განივი ჭრილები, ხიდის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები) მომზადებას;
- წყალარინების სისტემის აღდგენას ახალი სქემის გამოყენებით;
- არსებული ნორმების გათვალისწინებით და დამკვეთის მიერ მიწოდებული ფორმის შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის შედგენას, მიმდინარე საბაზრო ფასებით;
- სამშენებლო ნორმებისა და წესებით გათვალისწინებული სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას და წარმოდგენას ელ.ვერსიისა (DWG და PDF, ხოლო ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფორმატი) და ნახეჭდი სახით (ჰეგზ.).

შენიშვნა: კონკურსანტმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდსაცდელი ცენტრის საკონკურსო ობიექტის გამოკვლევა-გამოცდის შესახებ 2013 წლის დასკვნა-რეკომენდაციები რომელიც დანართის სახით თან ახლავს ტექნიკურ დავალებას.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმით:

- დიზაინის ვიზუალური მხარე – კოეფიციენტი – 1,0

საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმისა და ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტის მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

შენიშვნა:

საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული იქნება ზემოთ მითითებული კრიტერიუმით მხოლოდ ხიდის დიზაინი. შეფასების შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია 40 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სრულყოფილი პროექტის წარმოდგენა ზემოთ მითითებული მე-15 პუნქტის შესაბამისად.

18. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად.

19. კონკურსთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა #7, მე-15 სართული. საკონტაქტო პირი: გივი ჭუმბურიძე ტელ: +99532 2 37-86-64

ტექნიკური დავალება

ისტორიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს ხიდის ვიზუალი მისი არსებული კონფიგურაციის შენარჩუნებით, ისე რომ ხიდი ზომიერი სახეცვლილებით ორგანულად ჩაეწეროს ძველი თბილისის გარემოში. შესაძლებელია ახალი მასალების, ფერის, ფაქტურის გამოყენება ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

მიმწოდებლის მიერ ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას გასათვალისწინებელი დასკვნა-რეკომენდაციები

ბარათაშვილის სახ. ხიდის გამოკვლევისა და გამოცდის მონაცემების ანალიზის საფუძველზე აღსანიშნავია შემდეგი:

– ხიდის მალის ნაშენების წინასწარ დამაბული რკინაბეტონის კოჭების კონსტრუქციები ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია; საჭიროა დაზიანებული ნაწილების შეკეთება: განაპირა კოჭების ზედა ფილის გარე კოსოლების ბეტონის აღდგენა, მარცხენა მალში ყველა კოჭის ძირების დამცავი შრეების დაზიანებული უბნების აღდგენა, მალის ნაშენების დიაფრაგმების კონსოლების კოროდირებული ბეტონის აღდგენა;

– ხიდის როგორც ზედა იარუსის, ასევე ქვედა იარუსის ტროტუარების ფილები საჭიროებს გამოცვლას მთელ ხიდზე; სასურველია თანამედროვე მსუბუქი მასალების გამოყენება, რაც შეამცირებს მუდმივი დატვირთვის სიდიდეს და გააუმჯობესებს ხიდის მზიდი კონსტრუქციების მუშაობის პირობებს;

– სასურველია მარჯვენა ნაპირის ზემომხრის გასასვლელის აღდგენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეითთა გასვლა მიწიქვეშა გასასვლელში;

– აუცილებელია ხიდის სავალი ნაწილიდან წყალმოცილების სისტემის აღდგენა ახალი სქემის გამოყენებით, რადგან ადრე მიღებულმა სქემამ აჩვენა თავისი არაქმედუნარიანობა;

– რეაბილიტაციას საჭიროებს ხიდის სავალი ნაწილის ჰიდროიზოლაციის ფენა ასფალტობეტონის საფარის ქვეშ;

– რეაბილიტაციას საჭიროებს სადეფორმაციო ნაკერების კონსტრუქციები, სასურველია თანამედროვე კონსტრუქციების გამოყენება;

– ნავისაგან და დალექილი მიწის გროვებისაგან უნდა გაიწმინდოს ბურჯების რიგელების ზედაპირები;

– მიზანშეწონილია ხიდის სანაპირო მალეებში ხიდის ქვეშ გამავალი ავტოგზის სავალი ნაწილის ნიშნულის დადაბლება ხიდქვეშა გაბარიტის სიმაღლის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც უნდა დამუშავდეს კომპლექსური პროექტი;

– ხიდის ლითონის კონსტრუქციები უნდა გაიწმინდოს და შეიღებოს დამცავი ანტიკოროზიული საღებავით;

– საჭიროებს რეკონსტრუქციას ხიდის მალის ნაშენებში სასამსახურო განათების სისტემა, რათა შეიქმნას ხიდის მოვლა-შენახვის სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო პირობები;

– რეაბილიტაციას საჭიროებს ხიდის ქვედა იარუსის განათების სისტემა;

_ მთლიანად ნაგებობისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იერსახის მისაცემად უნდა დამუშავდეს არქიტექტურული პროექტი სათანადო კოლორისტული გადაწყვეტების გამოყენებით.

_ ხიდის მალის ნაშენების სიმტკიცითი პარამეტრები და მზიდუნარიანობა საკმარისია თანამედროვე საქალაქო ავტოტრანსპორტის მოძრაობის გასატარებლად;

_ ხიდის მალის ნაშენების დეფორმაციული პარამეტრები (ჩალუნვები) შეესაბამება ნორმების მოთხოვნებს;

_ ხიდის მალის ნაშენის დინამიკურობის კოეფიციენტი შეესაბამება ნორმების მოთხოვნებს.

_ სასურველია დამატებითი თეორიულ კვლევის ჩატარება ხიდის მალის ნაშენების დინამიკური (სიხშირული) პარამეტრების დაზუსტების მიზნით

ქ. თბილისში მდ. მტკვარზე ნ. ბარათაშვილის სახ. ხიდის გამოკვლევისა და გამოცდის მონაცემების ანალიზის შედეგად უნდა გაკეთდეს დასკვნა, შემდეგი დასკვნები:

1. გამოკვლევის შედეგების მიხედვით ხიდის საექსპლოატაციო თვისებების უზრუნველსაყოფად ხიდის კონსტრუქციები საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას;

2. სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შესრულდეს სპეციალურად შედგენილი პროექტის მიხედვით;

3. სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი უნდა ითვალისწინებდეს წარმოდგენილი ტექნიკური ანგარიშის მონაცემებს;

4. სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ხიდის შეუფერხებელი ექსპლოატაცია მოქმედი ტექნიკური პირობების შესაბამისად.

რომ ხიდის ძირითადი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა ხიდზე სარეაბილიტაციო სამუშაოების სათანადო შესრულების შემთხვევაში, რომლებიც უნდა შესრულდეს სპეციალურად შედგენილი ტექნიკური პროექტების საფუძველზე წარმოდგენილი ანგარიშის მონაცემთა გამოყენებით, უზრუნველყოფს მის შემდგომ შეუფერხებელ ექსპლოატაციას არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

შენიშვნა: კონკურსანტმა სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ელექტრონული ვერსიისა (DWG და PDF ფორმატში) და ნაბეჭდი სახით (3 ეგზემპლარად ელექტრონული ვერსიების ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8მგ).

გამარჯვებული ესკიზის (პროექტი) გარდა, კონკურსზე წარმოდგენილი ყველა ესკიზი (პროექტი) კონკურსში მონაწილე(ებ)ს დაუბრუნდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

კონკურსანტის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**თუ კონკურსანტი ფიზიკური პირია უნდა მიეთითოს პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით პირადი ნომერი.*

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

--. --. 201_ წ.

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ----- და მეორეს მხრივ -----, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით (“შემდგომში მიმწოდებელი”), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი

ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შექმნის მომსახურების შესყიდვაზე, რომლის საკონკურსო პირობების შესაბამისად კონკურსანტმა წარმოადგინა ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინი და საკონკურსო კომისიის შეფასებით გამოვლინდა გამარჯვებულად, ამავე საკონკურსო პირობების შესაბამისად შეფასების შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტი კი ვალდებულია 40 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სრულყოფილი პროექტის წარმოდგენა. პროექტი კი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის შესაბამისად რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1. ხელშეკრულების საგანი (ობიექტი)

ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (შედგენილი დანართის შესაბამისად) და ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

3. მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 მიწოდების ვადა – მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა (შედგენილი დანართი N1-ის შესაბამისად) ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) დღის განმავლობაში.

3.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისის მერია, შარტავას ქ. №7 (ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის (წინამდებარე ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული საგანი) მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე

უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები).

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

5.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 2014 წლის თბილისის ბიუჯეტით, ქ. თბილისში, ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდის დიზაინისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის (შედგენილი დანართი N1-ს შესაბამისად) და აღნიშნულ შესყიდვის ობიექტზე ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

6.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. ქ. თბილისის მერიას საკუთრებაში გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული საგანი.

6.4.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

7. გათვალისწინებული გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

- ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას;
- გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

11.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობის და სამუშაოთა მოცულობების აღწერას და მშენებლობის ორგანიზაციის პრინციპულ სქემას;
- მუშა ნახაზების (მ.შ. გეგმები, პროფილები, განივი ჭრილები, ხიდის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები) მომზადებას;
- წყალარინების სისტემის აღდგენას ახალი სქემის გამოყენებით;
- არსებული ნორმების გათვალისწინებით და დამკვეთის მიერ მიწოდებული ფორმის შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის შედგენას, მიმდინარე საბაზრო ფასებით;
- სამშენებლო ნორმებისა და წესებით გათვალისწინებული სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას და წარმოდგენას ელ.ვერსიისა (DWG და PDF, ხოლო ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფორმატი) და ნაბეჭდი სახით (ჰეგზ.).

პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდსაცდელი ცენტრის საკონკურსო ობიექტის გამოკვლევა-გამოცდის შესახებ შემდეგი დასკვნა და რეკომენდაციები:

ბარათაშვილის სახ. ხიდის გამოკვლევისა და გამოცდის მონაცემების ანალიზის საფუძველზე აღსანიშნავია შემდეგი:

– ხიდის მალის ნაშენების წინასწარ დამაბული რკინაბეტონის კოჭების კონსტრუქციები ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია; საჭიროა დაზიანებული ნაწილების შეკეთება: განაპირა კოჭების ზედა ფილის გარე კოსოლების ბეტონის აღდგენა, მარცხენა მალში ყველა კოჭის ძირების დამცავი შრეების დაზიანებული უბნების აღდგენა, მალის ნაშენების დიაფრაგმების კონსოლების კოროდირებული ბეტონის აღდგენა;

– ხიდის როგორც ზედა იარუსის, ასევე ქვედა იარუსის ტროტუარების ფილები საჭიროებს გამოცვლას მთელ ხიდზე; სასურველია თანამედროვე მსუბუქი მასალების გამოყენება, რაც შეამცირებს მუდმივი დატვირთვის სიდიდეს და გააუმჯობესებს ხიდის მზიდი კონსტრუქციების მუშაობის პირობებს;

– სასურველია მარჯვენა ნაპირის ზემომხრის გასასვლელის აღდგენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეითთა გასვლა მიწიქვეშა გასასვლელში;

– აუცილებელია ხიდის სავალი ნაწილიდან წყალმოცილების სისტემის აღდგენა ახალი სქემის გამოყენებით, რადგან ადრე მიღებულმა სქემამ აჩვენა თავისი არაქმედუნარიანობა;

– რეაბილიტაციას საჭიროებს ხიდის სავალი ნაწილის ჰიდროიზოლაციის ფენა ასფალტობეტონის საფარის ქვეშ;

– რეაბილიტაციას საჭიროებს სადეფორმაციო ნაკერების კონსტრუქციები, სასურველია თანამედროვე კონსტრუქციების გამოყენება;

– ნაგვისაგან და დალექილი მიწის გროვებისაგან უნდა გაიწმინდოს ბურჯების რიგელების ზედაპირები;

_ მიზანშეწონილია ხიდის სანაპირო მალეში ხიდის ქვეშ გამავალი ავტოგზის სავალი ნაწილის ნიშნულის დადაბლება ხიდქვეშა გაბარიტის სიმაღლის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც უნდა დამუშავდეს კომპლექსური პროექტი;

_ ხიდის ლითონის კონსტრუქციები უნდა გაიწმინდოს და შეიღებოს დამცავი ანტიკოროზიული საღებავით;

_ საჭიროებს რეკონსტრუქციას ხიდის მალის ნაშენებში სასამსახურო განათების სისტემა, რათა შეიქმნას ხიდის მოვლა-შენახვის სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო პირობები;

_ რეაბილიტაციას საჭიროებს ხიდის ქვედა იარუსის განათების სისტემა;

_ მთლიანად ნაგებობისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იერსახის მისაცემად უნდა დამუშავდეს არქიტექტურული პროექტი სათანადო კოლორისტული გადაწყვეტების გამოყენებით.

_ ხიდის მალის ნაშენების სიმტკიცითი პარამეტრები და მზიდუნარიანობა საკმარისია თანამედროვე საქალაქო ავტოტრანსპორტის მოძრაობის გასატა-რებლად;

_ ხიდის მალის ნაშენების დეფორმაციული პარამეტრები (ჩალუნვები) შეესაბამება ნორმების მოთხოვნებს;

_ ხიდის მალის ნაშენის დინამიკურობის კოეფიციენტი შეესაბამება ნორმების მოთხოვნებს.

_ სასურველია დამატებითი თეორიულ კვლევის ჩატარება ხიდის მალის ნაშენების დინამიკური (სიხშირული) პარამეტრების დაზუსტების მიზნით

ქ. თბილისში მდ. მტკვარზე ნ. ბარათაშვილის სახ. ხიდის გამოკვლევისა და გამოცდის მონაცემების ანალიზის შედეგად უნდა გაკეთდეს დასკვნა, შემდეგი დასკვნები:

1. გამოკვლევის შედეგების მიხედვით ხიდის საექსპლოატაციო თვისებების უზრუნველსაყოფად ხიდის კონსტრუქციები საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას;

2. სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შესრულდეს სპეციალურად შედგენილი პროექტის მიხედვით;

3. სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი უნდა ითვალისწინებდეს წარმოდგენილი ტექნიკური ანგარიშის მონაცემებს;

4. სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ხიდის შეუფერხებელი ექსპლოატაცია მოქმედი ტექნიკური პირობების შესაბამისად.

რომ ხიდის ძირითადი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა ხიდზე სარეაბილიტაციო სამუშაოების სათანადო შესრულების შემთხვევაში, რომლებიც უნდა შესრულდეს სპეციალურად შედგენილი ტექნიკური პროექტების საფუძველზე წარმოდგენილი ანგარიშის მონაცემთა გამოყენებით, უზრუნველყოფს მის შემდგომ შეუფერხებელ ექსპლოატაციას არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

შენიშვნა: კონკურსანტმა სრული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ელექტრონული ვერსიისა (DWG და PDF ფორმატში) და ნაბეჭდი სახით (ელექტრონული ვერსიების (თითოეული ფაილის) ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8მგ).